საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები და გარემოებები რომელთა გათვალისწინება აუცილებელია კანონპროექტის განხილვისას:

1) პირები, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება წარმოადგენენ საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე შექმნილი სხვადასხვა მძიმე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური გარემოებებისა და საომარი მოქმედებების შედეგად იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ემიგრაციაში, იმისათვის რომ ერჩინათ საკუთარი თავი და მათი ოჯახები. ამ კატეგორიას ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩვენი იძულებით გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი მიეკუთვნება, რომელთა უმეტესობა აფხაზეთიდანაა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს არიან ადამიანები, რომელთაც ოკუპირეებულ ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად ფიზიკური გადარჩენის მოტივით მოუწიათ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილების დატოვება რათა არ გაეზიარებით სეპარატისტული ძალების მიერ ათასობით მოკლული უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქის ბედი, ხოლო უსახლკაროდ დარჩენილებს აქ ენგურს მიღმა დახვდათ 90-ანი წლების „შავ-ბნელი საქართველო“ და სწორედ ასეთ ვითარებაში მათ საკუთარი ცხოვრება ნულიდან უნდა აეწყოთ. როდესაც ამ ადამიანებზე ვსაუბრობთ, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამ ადამიანებმა არა თუ საკუთარი სურვილით დატოვეს საქართველო, არამედ იძულებულნი იყვნენ გადაედგათ ეს მათთვის საკმაოდ რთული ნაბიჯი და წასულიყვნენ ემიგრაციაში, ვინაიდან ომის პირობებში მყოფმა სახელმწიფომ რიგ გარემოებათა გამო (მათ შორის საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით) ვერ უზრუნველყო ამ ადამიანების სიცოცხლისა და სხვა უფლებების სრულყოფილი დაცვა, ვერ იზრუნა მათ საცხოვრებელ მინიმუმსა და სოციალურ პირობებზე. სწორედ ზემოხსენებული გარემოებებით არის განპირობებული ემიგრაციაში წასვლის შესახებ მათი უმეტესობის მიერ მიღებული საკმაოდ რთული გადაწყვეტილება, სადაც ლეგალური სამსახურისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისაღებად აუცილებელი იყო შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობის მიღება (ხშირ შემთხვევაში ეს არის რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, უკრაინა და ა.შ.).

2) მიგვაჩნია, რომ ამ კატეგორიის პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი უნდა განიხილებოდეს ჩვეულებრივი ნატურალიზაციის პროცედურისგან განსხვავებული (განსაკუთრებული) წესით, რაც დეტალურად უნდა გაიწეროს შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში (კომისიის დებულებაში). ამავდროულად, ასეთი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც დისკრიმინაციული, ვინაიდან აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად - განპირობებულია პირველ პუნქტში მითითებული გარემოებებით და პირდაპირ ემსახურება სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესს საკუთარი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მაგალითად: დღევანდელ მოცემულობაში (კანონის მოქმედ რედაქციას ვგულისხმობთ) გაცილებით უფრო დისკრიმინაციულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად ტესტირების ჩაბარების ვალდებულებას

ვაკისრებთ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ პირებს (მათ შორის იძულებით გადაადგილებულ ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასულ პირებს), მაგრამ არ ვაკისრებთ ამ ვალდებულებას იმათ ვინც წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან ხელოვნების სფეროში და სურს განაგრძოს მოღვაწეობა საქართველოს სახელით, ან მათ ვინც გარკვეულ ინვესტიციას განახორციელებს ქვეყნის ბიუჯეტში. ანუ ფაქტობრივად ვითხოვთ სრულყოფილად ტესტირების ჩაბარებას მაგალითად იგივე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე პირისგან (ვინც „ყველაზე დიდი ინვესტიცია განახორციელა ქვეყნის ბიუჯეტში“ - საკუთარი სიცოცხლე დადო ბედის სასწორზე) და ამ მოტივით შეგვიძლია უარი ვუთხრათ მოქალაქეობის მინიჭებაზე თუ აღნიშნულმა პირმა ვერ მიიღო ქულების საკმარისი რაოდენობა, მაგრამ არ ვითხოვთ აღნიშნულ ტესტირებას იმისგან ვინც შეიძლება ითქვას ყიდულობს საქართველოს მოქალაქეობას გარკვეული ფინანსური ინვესტიციის სანაცვლოდ. ბუნებრივია და სრულიად გასაგებია ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიცია, რომ ფინანსური ინვესტიცია და ეკონომიკის გაძლიერება წარმოადგენს ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინტერესს, მაგრამ ამავდროულად ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება არ გამომდინარეობდეს სახელმწიფო ინტერესებიდან საკუთარი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება და ამისთვის მათი მოტივირება მოქალაქეობის მინიჭებით, ქვეყნისთვის, რომლის დემოგრაფიული მდგომარეობა 2022 წლის მონაცემებით 3 688 647 ადამიანს უდრის, ხოლო 2021 წლიდან ფიქსირდება უარყოფითი ბუნებრივი მატება და უარყოფითი მიგრაციული სალდო. მოგეხსენებათ, რომ ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებული მაგალითია ისრაელი, რომელიც ყველაფერს აკეთებს თავისი ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად.

3) გარდა ამისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ამ კატეგორიის პირთაგან ვინც წლებია ემიგრაციაში ცხოვრობდა, უმეტესობამ ასე თუ ისე ცხოვრება თავიდან აიწყო, წამოიწყო მცირე თუ საშუალო ბიზნესი, დააგროვა გარკვეული კაპიტალი, შეიძინა უძრავ-მოძრავი ქონება და ეს ადამიანები დღესდღეობით საქართველოში, რომ ბრუნდებიან, ხელცარიელნი არ ჩამოდიან და იმ მცირე თუ საშუალო კაპიტალის დაბანდებას ისევ საქართველოში განახორციელებენ, რაც ბუნებრივია ისევ ჩვენს ქვეყანას და მისი ეკონომიკის განვითარებას წაადგება.

4) რაც შეეხება აფხაზურ ენაზე გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის, მგონი ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს სწორედ ის ერთ-ერთი ნაბიჯია რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ იმ მშვიდობიანი (შერიგების) პოლიტიკის ფარგლებში, მით უფრო, როდესაც აფხაზურ ენას მინიჭებული აქვს მეორე სახელმწიფო ენის სტატუსი ქვეყნის კონსტიტუციით და ხშირად გვესმის ქვეყნის პირველი პირების ოფიციალური განცხადებები აფხაზური ენის, როგორც გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ენის დაცვის აუცილებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებული (დღეის მდგომარეობით მოქმედი) „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და

გადაწყვეტის შესახებ დებულების“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ამას ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში რეალურად არ მუშაობს.

5) ასევე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება ცვლილებაზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ და დღემდე მიმდინარე ე.წ. უკანონო პასპორტიზაციას. ამ შემთხვევაში საუბარია ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულ ისეთ პირებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. მიგვაჩნია, რომ თითოეული ასეთი აფხაზისთვის თუ ოსისთვის ჩვენ უნდა „ვიბრძოლოთ“, დიახ ვიბრძოლოთ, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ე.წ. უკანონო პასპორტიზაციის საპირწონედ და ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად გავუმარტივოთ მათ მოქალაქეობის დადგენის პროცედურა. სწორედ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილება, რომელიც:

ა) უმარტივებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს საქართველოს მოქალაქეობის დადგენას „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე;

ბ) წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო პოლიტიკის ერთ-ერთ საპირწონე რეგულაციას;

გ) პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში გაცემული რუსული პასპორტების არარად ცნობის თაობაზე ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2022 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილებების პრინციპებს და წარმოშობს აღნიშნული გადაწყვეტილებების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

პატივისცემით,

ირაკლი დბარი